06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები	635.5	269.5	366.0	269.5	269.5	269.5
06 01 01	ააიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი	269.5	269.5	0.0	269.5	269.5	269.5
06 01 02	საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის მშენებლობა-რეაბილიტაცია	366.0	0.0	366.0	0.0	0.0	0.0
06 02	სოციალური პროგრამები	3,291.6	0.0	3,291.6	3,042.5	3,112.5	3,182.5
06 02 01	ააიპ „სახლი თანადგომა“	361.0	0.0	361.0	344.5	344.5	344.5
06 02 02	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“	240.0	0.0	240.0	222.4	222.4	222.4
06 02 03	დედათა და ბავშვთა დახმარება	440.0	0.0	440.0	440.0	440.0	440.0
06 02 04	სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებები	1,754.6	0.0	1,754.6	1,804.6	1,874.6	1,944.6
06 02 05	დაკრძალვის ხარჯი	6.0	0.0	6.0	6.0	6.0	6.0
06 02 07	სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარება	490.0	0.0	490.0	225.0	225.0	225.0

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ საზოგადოებრივი "ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი"							
პროგრამის აღწერა და მიზანი	1. ეპიდემიოლოგიური კვლევის განხორციელება ეპიდსაშიშროებისას, პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მართვა და პრევენციული ღონისძიებების გატარება და კონტროლი. დაავადებათა ზედამხედველობის ინტეგრირებული პროგრამის მართვა (EIDSS). მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებათა (მ/შ ტუბერკულოზის, შიდსის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების „ბ „ ც „ და სხვა ჰეპატიტების, ვაქცინაციით მართვადი დაავადებების ეპიდზედამხედველობა, მართვა, პრევენცია და კონტროლის ღონისძიებები. 2. პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოფროფილაქტიკის დაგეგმვა, იმუნოფროფილაქტიკაზე რუტინული სტატისტიკური ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით, იმუნოფროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება შესაბამის კომპიუტერულ პროგრამაში, მონაცემთა რუტინული ანალიზი, შეფასება დაზუსტება, ვაქცინათა სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრა, ვაქცინათა და სხვა ასაცრელი მასალის დაგეგმვა, მოთხოვნა, კოორდინაცია რეგიონალურ დონესთან, ვაქცინათა მიღება, რეგისტრაცია, გაცემა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სამედიცინო დაწესებულებებზე, რომლებიც მონაწილეობენ იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამაში დადგენილი წესის მიხედვით. 3. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამის ანტინატალური მეთვალყურეობის კომპონენტის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებებისათვის „ცენტრიდან“ ტესტებისა და სახარჯი მასალების გაცემა, აგრეთვე „ბ“ ჰეპატიტის იმუნოგლობულინის გადაცემა იმ დაწესებულებებისათვის, რომლებიც ახორციელებენ სამეანო მომსახურეობას, სტატეგიული შრატების , ანტირაბიული ვაქცინის და იმუნოგლობულინის მიღება- განაწილება. შესაბამისი ელექტრონული მოდულების წარმოება. 4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილი წესით, გადამტანების არსებობის და გავრცელების არეალის დადგენა სეზონის განმავლობაში. სამტრედიის რაიონი, როგორც ჰიპერმალარიული ზონა, მუშაობს სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ფართობები ინსექტიციდით, კერძოდ: სოლფაკით. შემდგომ ხდება დამუშავებული ფართობების აღრიცხვა და ანგარიშგება შესაბამისი ცხრილებით 5. პარაზიტული დაავადებების ეპიდ კონტროლი და პროფილაქტიკა. 6. საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო- სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა. 7. „ც“ ჰეპატიტის“ და აივ-ინფექცია, შიდსის სკრინინგ პროგრამის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს პირველადი ჯანდაცვის სპეციალისტების ჩართვას, მოსახლეობის მასიური სკრინინგის უზრუნველყოფის მიზნით, დადებითი შემთხვევების კონფირმაციულ კვლევას, მიდევნებას და მკურნალობაში ჩართვას. ასევე 18 წლის ზემო ასაკის ყველა ბენეფიციარის სკრინინგულ კვლევებს, ვინც არ არის დასკრინული. მონაცემების შეტანა და დამუშავება ც ჰეპატიტის ელექტრონულ სკრინინგ მოდულში. 8. მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება.							
	პროგრამის მოსალოდნელი შედეგი 1). სხვადასხვა გადამდები დაავადებების რისკების შემცირება. 2). მოსახლეობის ვაქცინაციით მაღალი მოცვა.							
	შეფასების ინდიკატორები							
	შუალედური შედეგი (OUTPUT)	საბა- ზისო 2024 წელი	მიზნო- ბრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	მიზნობრივი 2028 წელი	ცდომი- ლების ალბა- თობა	შესაძლო რისკები
	იმუნიზაცია აცრილ ბავშვთა რაოდენობის მიხედვით	80%	85%	90%	95%	96%		უარი აცრაზე
	ეპიდზედამხედველობა სტატისტიკური ინფორმაცია	1760	1500	1300	1200	1000	5%	სხვა გარემო ფაქტორები

მალარიის პროგრამის ფარგლებში დამუშავებული კერების რაოდენობა	120000 მ²	120000 მ²	არსებული მდგომარეობის შენარჩუნება	არსებული მდგომარეობის შენარჩუნება	არსებული მდგომარეობის შენარჩუნება	5%	ყველა პირობა რომელსაც შეუძლია დაბრკოლების შექმნა პროგრამის განხორციელების დროს.
ტუბერკულოზის მიდევნება გამოვლენილ ბენეფიციარებში	2	2	2	2	2	უარი გამოკვლევაზე	სხვა გარემო ფაქტორები
სკრიგინგ პროგრამები მოსახლეობაში	3470	4000	4500	4600	4700	უარი გამოკვლევაზე	სხვა გარემო ფაქტორები

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მშენებლობა (06 01 02)									
პროგრამის განმახორციელებელი		სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.							
პროგრამის აღწერა		პროგრამის ფარგლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამუშაოების შესყიდვა.							
პროგრამის მიზანი		საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს არ გააჩნია საკუთარი შენობა, რის გამოც წლების განმავლობაში სხვადასხვა არასტანდარტულ შენობებში ფუნქციონირებს. რომლებიც არ აკმაყოფილებს მინიმალურ სტანდარტებს, ახლის მშენებლობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტს ექნება თანამედროვე სტანდარტების და აღჭურვილობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, სადაც ადგ. მოქალაქეები დროულად შეძლებენ საჭირო მაღალხარისხიან სერვისების მიღებას							
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი		პროგრამის საბოლოო შედეგი: ახალი ჯანდაცვის კერის შექმნა და იერსახის გაუმჯობესება							
№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები							
		ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზისო 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	მიზნობრივი 2028 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
1	აშენებული ჯანდაცვის დაწესებულებების რაოდენობა	მიღება-ჩაბარების აქტი	0	1	0	0	0	5%	სატენდერო პროცედურების გაჭიანურება, მომწოდებლის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა

სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებისა და სოციალური დახმარებების გაცემას. მზრუნველობამოკლებულთა უზრუნველყოფას უფასო კვებითა და თავშესაფრით, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას,

სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სოციალური პროგრამები (06 02)							
პროგრამის განმახორციელებელი	სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვის სამსახური						
პროგრამის აღწერა	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზემცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა, სამედიცინო მომსახურება, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გთვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა დახმარება, დემოგრაფიული მომსახურების მიზნით მრავალშვილიანი და ახალშობილთა ოჯახების დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომელიც მთლიანობაში უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას						
პროგრამის მიზანი	ბენეფიციარის ჯანმრთელობის და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა						
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტის მიერ შეთავაზებული სერვისის ხელმისაწვდომობა ბენეფიციარებისათვის						
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები						
	საბაზისო 2024 წელი	მიზნო-ბრივი 2025 წელი	მიზნო-ბრივი 2026 წელი	მიზნო-ბრივი 2027 წელი	მიზნო-ბრივი 2028 წელი	ცდომი-ლების ალბათობა	შესაძლო რისკები
პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	4509	5000	5500	6000	6500		

ა(ა)იპ სახლი "თანადგომა" (06 02 01)	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ სახლი "თანადგომა"
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ფონზე, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის დახმარება ააიპ „სახლი თანადგომისათვის“ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. დღეს, როდესაც ქვეყანაში მრავლადაა გაჭირვებული ოჯახები, მოთხოვნის შესაბამისად შესაძლებლობის ფარგლებში ხდება სხვადასხვა ფორმით მატერიალური დახმარების გაწევა. სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, რომლებსაც არ გააჩნიათ ფიზიკური შესაძლებლობა, არიან მარტოხელები, დავრდომილები, ინვალიდები, უსახლკარონი, ის პირები, რომლებიც მიეკუთვნებიან უმწეოთა კატეგორიას და არ გააჩნიათ ეკონომიკური შესაძლებლობა იმისთვის, რომ მთელი თვის განმავლობაში იკვებონ თავისი შემოსავლით, მათთვის ყოველდღიურად (გარდა კვირისა) სადილით უზრუნველყოფა (დღეში ერთხელ) უმწეოთა სასადილოში. ამ კატეგორიის მოქალაქეებზე გაიცემა 2-3 ცალი პური კვირაში ერთხელ. პური გაიცემა სულადობის მიხედვით. ამ პროგრამის მოქმედებით სამტრედიის მუნიციპალიტეტში მცხვრებ უმწეოთა დიდი ნაწილი უზრუნველყოფილი იქნება საარსებო საშუალებით. აგრეთვე, პროგრამაში ჩართულნი არიან სოციალური მუშაკები, რომლებიც ბინაზე მოემსახურებათ დავრდომილებსა და ღრმად მოხუცებულებს.
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	მარტოხელა და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების კვებით უზრუნველყოფა; სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქება.
შეფასების ინდიკატორები	

საბოლოო შედეგი (OUTCOME)	საბა- ზის ო 2024 წელ ი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	მიზნობრივი 2028 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
ღონისძიებების რაოდენობა	5	არსებული მაჩვენებლი ს შენარჩუნებ ა	არსებული მაჩვენებლი ს შენარჩუნებ ა	არსებული მაჩვენებლი ს შენარჩუნებ ა	არსებული მაჩვენებლი ს შენარჩუნებ ა		
ბენეფიციარებზე გაცემული ამანათის რაოდენობა	363	არსებული მაჩვენებლი ს შენარჩუნებ ა	არსებული მაჩვენებლი ს შენარჩუნებ ა	არსებული მაჩვენებლი ს შენარჩუნებ ა	არსებული მაჩვენებლი ს შენარჩუნებ ა	2%	

ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "სათნოების სახლი " (06 02 02)							
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "სათნოების სახლი "						
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მარტოხელა მიუსაფარ მოხუცებს ადგილებზე გაეწიოთ მზრუნველობა, კერძოდ, სხვადასხვა სახის აუცილებელი დახმარება, საყოფაცხოვებო-სოციალური პირობებით უზრუნველყოფა, დღე-ღამის განმავლობაში ოთხჯერადი კვება, შემოსვა, სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, მედპერსონალისა და სანიტარტა სადღეღამისო მორიგეობა, მათი ინტერესების დაცვა და წარმოჩენა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მათი ჩაბმა საზოგადოებრივად აქტიურ საქმიანობაში. სათნოების სახლში ხშირად იმართება საქველმოქმედო ღონისძიებები. წოველ წელს მატულობს მნახველთა რაოდენობა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მობინადრეთა ცხოვრებით და მათი ჯანმრთელობით						
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	ბენეფიციართა გაუმჯობესებული მდგომარეობა.						
შეფასების ინდიკატორები							
შუალედური შედეგი (OUTPUT)	საბა- ზისო 2024 წელი	მიზნო- ბრივი 2025 წელი	მიზნო- ბრივი 2026 წელი	მიზნო- ბრივი 2027 წელი	მიზნო- ბრივი 2028 წელი	ცდომილების ალბა- თობა	შესაძლო რისკები
ბენეფიციართა ყოველდღიური უზრუნველყოფა საჭიროებისამებრ	14	16	16	20	20	2	

დედათა და ბავშვთა დახმარება (06 02 03)	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სამტრედიის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.
პროგრამის აღწერა	ახალშობილთა დახმარება - ერთჯერად 200 (ორასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ პირველი შვილი. - მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-2 შვილი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 300 (სამასი) ლარის ოდენობით. - მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-3 შვილი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 400 (სამასი) ლარის ოდენობით. - მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-4 შვილი და მეტი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 500 (ოთხასორმოცდაათი) ლარის

	ოდენობით. 5. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ ტყუპები დაფინანსებას მიიღებენ თითოეულ შვილზე: პირველი და მეორე შვილის შემქნის შემთხვევაში 300-300 ლარს, მეორე და მესამე 400-400 ლარი, მესამე და მეოთხე შვილის და მეტის შემთხვევაში 500-500 ლარს. 6. ახალშობილთა ერთჯერადი დახმარება გაიცემა, თუ ახალშობილი დაიბადა 2024 წლის 1 სექტემბრის შემდეგ და დახმარება არ აქვს აღებული. მრავალშვილიანი ოჯახებისათვის (4 ან მეტი შვილი 18 წლამდე) ითვალისწინებს მრავალშვილიან მშობლებისთვის ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით თითოეულ ბავშვზე						
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისის მიწოდება						
შეფასების ინდიკატორები							
შუალედური შედეგი (OUTPUT)	საბაზისო 2024 წელი	მიზნო-ბრივი 2025 წელი	მიზნო-ბრივი 2026 წელი	მიზნო-ბრივი 2027 წელი	მიზნო-ბრივი 2028 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	450	450	450	450	450		არამომართ-ვიანობა

სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება (06 02 04)	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სამტრედიის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.
პროგრამის აღწერა	1. მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება 1.1 მოქალაქეთა სამედიცინო დაფინანსება - მოქალაქე, რომელიც დაავადებულია გულსისხლძარღვთა დაავადებით, ონკოლოგიური დაავადებით, გინეკოლოგიური დაავადებით და ასევე სხვა სიცოცხლისათვის საშიში დაავადებით და საჭიროებს გადაუდებელ ოპერაციას, ქიმიოთერაპიას, კოქსართროზი, გონართროზი, ანევრიზმა, თრომბოფლემბიტი და ასევე სხვა დაავადებების ქირურგიული და კონსერვატიული მკურნალობა , სამკურნალო სარეაბილიტაციო პროცედურები, ქცევითი თერაპიები და სხვა ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს, შშმ და ომის ვეტერანები, 1.00 დან-500 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 100 %, 500-1000 ლარის ჩათვლით 500 ლარით, 1000 ლარის ზემოთ 600 ლარით; ბ) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულაა 100000 დან 200000 ის ჩათვლით 1.00 დან 1000 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 90 %, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარით, 1000 ლარის ზემოთ 600 ლარით; გ) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულაა 200000 ის ზევით ან არ არიან რეგისტრირებული სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში 100 დან 1000 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 80 %, არაუმეტეს 500 ლარის, 1000 ლარის ზემოთ 600 ლარით; 1.2. მოქალაქეთა სამედიცინო გამოკვლევის დაფინანსება - მოქალაქეები, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა სამედიცინო გამოკვლევებს, დიაგნოსტიკას, კომპიუტერულ კვლევას, მაგნიტურ-რეზონანსულ კვლევას, PET (პოზიტრონულ ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია) კვლევას. ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს, შშმ და ომის ვეტერანები, 1.00 დან -800 ლარის ჩათვლით მაქსიმუმ 300 ლარით, 800 ლარის ზემოთ 400 ლარით.

ბ) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულაა 100000 დან 200000 ის ჩათვლით 1.00 დან 800 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 90 %, მაქსიმუმ 300 ლარით, 800 ლარის ზემოთ 400 ლარით.

გ) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულაა 200000-ის ზევით ან არ არიან რეგისტრირებული სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში 100 დან 800 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 80 %, მაქსიმუმ 300 ლარით 800 ლარის ზემოთ 400 ლარით.

დ) PET (პოზიტრონულ ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია)-კვლევა დაფინანსდება 500 ლარით;

2. მარტოხელა მშობლების დახმარება.

1. ერთჯერად დახმარებას მიიღებენ მარტოხელა მშობლები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სამოქალაქო რეესტრში. ერთი შვილის ყოლის შემთხვევაში მიიღებენ 150 ლარიან დახმარებას, ორი შვილის შემთხვევაში 200 ლარიან დახმარებას, სამი და მეტი შვილის შემთხვევაში 300 ლარიან დახმარებას (შვილის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 18 წელს).

3. სტუდენტების დახმარება

1. უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს 1000 (ათასი) ლარით გაეწევთ დახმარება ერთჯერადად;

ა) დედ-მამით ობოლი ოჯახებიდან.

ბ) მრავალშვილიანი (4 და მეტიშვილიანი) ოჯახებიდან;

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, რომელთაც აქვთ მინიჭებული 0-დან 65 000- ჩათ. სარეიტინგო ქულა.

2. უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, რომელთაც აქვთ იშვიათი (საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 199/ნ 2001 წლის 14 მაისი, იშვიათი დაავადებების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ) დაავადებები და სისტემატურად საჭიროებენ მკურნალობას, ასევე „ავთვისებიანი სიმსივნეები რომლებიც ვლინდება ახალგაზრდა ასაკში“ და ხანგრძლივად საჭიროებენ ექიმის მეთვალყურეობას, ყოველთვიურად გაეწევთ 400 ლარიანი დახმარება;

ა) დედ-მამით ობოლი ოჯახებიდან.

ბ) მრავალშვილიანი (4 და მეტიშვილიანი) სოციალურად დაუცველ ოჯახებიდან;

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, რომელთაც აქვთ მინიჭებული 0-დან 65 000- ჩათ. სარეიტინგო ქულა.

დ) მარტოხელა მშობლების შვილები.

4. უდედმამოზავშვების დახმარება

- მოსარგებლე 18 წლამდე ბავშვები, რომლებსაც გარდაეცვალა მშობლები, ან ბავშვები, რომელთა მშობლების ადგილსამყოფელი უცნობია და ზრდის მეურვე ან მზრუნველი:

უდედმამო ბავშვებზე 0-დან 18 წლის ჩათვლით დახმარება გაიცემა ყოველთვიურად, ყოველ ბავშვზე 100 ლარის ოდენობით.

5. ხანდაზმულთა დახმარება

ერთჯერად, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, დაფინანსებას მიიღებენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთაც შეუსრულდათ 100 და მეტი წელი.

6. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) სოციალური დახმარება;

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად 300 ლარიან სოციალურ დახმარებას მიიღებენ შემდეგი კატეგორიის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახები და ომის მონაწილეები.

ა) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი შშმ პირები;

ბ) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახები;

2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად 200 ლარიან სოციალურ დახმარებას მიიღებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლები, მარჩენალ დაკარგულები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული, სხვა ომის მონაწილეები, რომლებიც წარმოადგენენ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, რომელთაც გააჩნიათ 0-დან 200000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა.

7. ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა ფინანსური დახმარება;

.ითვალისწინებს ჩერნობილის მონაწილეთა და გარდაცვლილ ოჯახის წევრთა ერთჯერად ფინანსურ დახმარებას 300 ლარის ოდენობით, 26 აპრილს.

8. დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების დახმარება;

ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების დახმარებას, თითოეულისათვის 200 ლარის ოდენობით ყოველთვიურად .

9. ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით , დიაბეტით დაავადებულ და დაუნის სინდრომის ბავშვთა ფინანსური დახმარება.

1.ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება;

ითვალისწინებს ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) აღრიცხვას და ყოველთვიურ დახმარებას 200 ლარის ოდენობით;

2. ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) ფინანსური დახმარება;
ითვალისწინებს ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) აღრიცხვას და ყოველთვიურ დახმარებას 100 ლარის ოდენობით;

3. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით.

4. დიაბეტით დაავადებულ ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს დიაბეტით დაავადებული ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით.

5. ნივთიერებათა ცვლის მოშლით მიმდინარე დაავადებები, ჰიპერალანინემია და სხვა იშვიათი(საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 199/ნ 2001 წლის 14 მაისი, იშვიათი დაავადებების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ) (18 წლამდე) დაავადებების ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს აღნიშნული დაავადებით დაავადებული ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით.

10. 2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილ მეომართა ოჯახების ფინანსური დახმარება;

ითვალისწინებს 2008 წელს გარდაცვლილ მეომართა ოჯახის წევრების ერთჯერადად დაფინანსებას 1000 ლარით;

11. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება;

1. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევათ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მხედველობა, სმენა დაქვეითებულ მოქალაქეებს 200 ლარის ოდენობით;

2. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევათ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს: ეპილეფსია, გონებრივი ჩამორჩენილობა (დაუზუსტებელი), მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც დაავადებულია ცეროზით-150 ლარის ოდენობით.

3. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევათ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და ასევე ფსიქონერვული და შიზოფრენიით დაავადებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, 100 ლარის ოდენობით;

4. ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს 18 წლამდე 200 ლარის ოდენობით;

5. ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემათ ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით და დაუნის სინდრომით დაავადებულ 18 წლის ზემოთ მოქალაქეებს 200 ლარის ოდენობით;

6. ონკოლოგიური სენით (III და IV სტადია) დაავადებული მოქალაქეები ერთჯერადად დაფინანსდება 200 ლარით.

12. ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში;

ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში - 1. მოქალაქეები, რომლებიც არიან მარტოხელები, ფსიქიურად დაავადებულები, შეჭირვებულები, არასაპენსიო ასაკის, ჯანმრთელობის

მდგომარეობის გამო არიან შრომისუუნარონი მერიაში შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მიეცეთ ყოველთვიური ფინანსური დახმარება 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულ მოქალაქეებს კუთვნილ საცხოვრებელ სახლზე(ბინაზე) ხანძრის შედეგად მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურება განესაზღვროთ მერიაში შექმნილი კომისიის მიერ, სიმძიმის მიხედვით ერთჯერადი ფინანსური დახმარება 500-5000 ლარი.

ა) დაეწვათ, კაპიტალური საცხოვრებელი სახლი მთლიანად, საყოფაცხოვრებო ნივთებით -5 000 ლარი.

ბ) დაეწვა საცხოვრებელი სახლის პირველი და მეორე სართული - 4 000 ლარი.

გ) დაეწვა საცხოვრებელი სახლის ერთი სართული საყოფაცხოვრებო ნივთებით - 3 000 ლარი.

დ) დაეწვა საცხოვრებელი სახლის ერთი სართული საყოფაცხოვრებო ნივთების გარეშე -2000 ლარი.

ე) დაეწვა საცხოვრებელი სახლის ნაწილი (ერთი, ორი ოთახი) -1000 ლარი

ვ) დაეწვა საცხოვრებელი სახლის ნაწილი (ერთი, ორი ოთახი) საყოფაცხოვრებო ნივთებით-2000 ლარი

ზ) დაეწვა დამხმარე ნაგებობა სადაც ცხოვრობს დღის განმავლობაში -1000 ლარი.

თ) დაეწვა დამხმარე ნაგებობა სადაც არ ცხოვრობს - 500 ლარი.

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მცხოვრები, ოჯახები, რომლებიც წარმოადგენენ რისკის ქვეშ (ენგრევით საცხოვრებელი სახლი, საჭიროებენ გადაუდებელ მინიმალურ სარემონტო სამუშაოს ჩატარებას), უკიდურეს მძიმე მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს, რომელთაც არანაირი შემოსავალი არ გააჩნიათ ოჯახის სარჩენად, ასევე მოქალაქეებს, რომლებიც არიან ჯანმრთელობის მხრივ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში, დახმარების ოდენობა განისაზღვროს მერიაში შექმნილი კომისიის მიერ. სიმძიმის მიხედვით 100-დან 1000 ლარის ჩათვლით:

ა) არის მარტოხელა, უმუშევარი, სოციალურად დაუცველი, შშმ, შეჭირვებული- 100 ლარი.

ბ) არის მარტოხელა, უმუშევარი, სოციალურად დაუცველი, არა აქვს საკუთარი სახლი და ცხოვრობენ სხვის ბინაში-150 ლარი.

გ) წარმოდგენილი აქვს ჯანმრთელობის ცნობა ფორმა N100 -150 ლარი.

დ) წარმოდგენილი აქვს ჯანმრთელობის ცნობა ფორმა N100, დაავადებულია რამოდენიმე ქრონიკული დაავადებით -200 ლარი.

ე) წარმოდგენილი აქვს ჯანმრთელობის ცნობა ფორმა N100, აქვს უმძიმესი საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობები-300 ლარი.

ვ) არის შშმ პირი, მრავლშვილიანი (3 და მეტი) ოჯახი, რომლებსაც არა აქვს საცხოვრებელი სახლი და ცხოვრობენ სხვის ბინაში -500 ლარი.

ზ) ესაჭიროება საზღვარგარეთ მკურნალობა- 1000 ლარი.

თ) ენგრევით საცხოვრებელი სახლი, საჭიროებენ გადაუდებელ მინიმალურ სარემონტო სამუშაოს ჩატარებას - 500 ლარი. განსაკუთრებულ შემთხვევაში 1000 ლარი

13. სოციალურად დაუცველი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ფინანსური დახმარება

ერთჯერადი მატერიალური დახმარება 150 ლარის ოდენობით, გაეწევათ სოციალურად დაუცველი, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებს და ოჯახის წევრებს, რომელთა სარეინტიგო ქულა შეადგენს 0-200000 მდე.

14. წითელი ჯვრის თანადაფინანსება

სოციალურად იზოლირებული და სოციალურად დაუცველი ოჯახების უმწეობის (ხანდაზმულები 60 წლის ზემოთ და ახალგაზრდები 15-27 წლამდე) შემცირებისა და ხელშეწყობის მიზნით ადგილობრივი რესურსების გამოყენება მათი უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების გაძლიერების, განვითარების, საკუთარი ღირსებისა და თვითდაჯერებულობის გრძნობების ამაღლების მიზნით მათი ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში;

15. 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის ხელშეწყობა.

1. დღის ცენტრის კომუნალური ხარჯების თანადაფინანსება და ასევე ტრანსპორტირების დაფინანსება სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოქმედი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის ხელშეწყობა. 2023 წლის განმავლობაში თანადაფინანსების პრინციპით ანაზღაურდება კომუნალური ხარჯები (ელექტრო ენერგია, გაზი, წყალი) და ასევე ტრანსპორტირების დაფინანსება, ორგანიზაციის მიერ ყოველთვიურად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე თანხა ჩაირიცხება მათ ანგარიშზე. თანხა თვეში არაუმეტეს 1 050 ლარისა.

16. სოციალურად დაუცველი და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში მოქალაქის ბინის ქირით უზრუნველყოფა.

განსაკუთრებულ შემთხვევაში მოქალაქის ბინის ქირით უზრუნველყოფა 100 ლარის ოდენობით.

17. სამკერვალო საწარმო „გვირილა“-ში დასაქმებულ შშმ ქალების დახმარება ტრანსპორტირების კუთხით.

18. სხვადასხვა სოციალურ-კულტურული ღონისძიებების ხარჯები;

19. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ხანდაზმულების, მრავალშვილიანების, შშმ ღონისძიებების ტრანსპორტირების ხარჯები

20. აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია

ითვალისწინებს 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ქალაქ სამტრედიაში რეგისტრირებული და მცხოვრები, 2-15 წლის ჩათვლით ბავშვების, რომელთა ძირითადი დიაგნოზია (ICD-10) კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული განვითარების ზოგადი აშლილობები (F84.0-F84.9) ყოველთვიურ დახმარებას 300 ლარის ოდენობით;

21. მოწყვლადი ოჯახების ფინანსური დახმარება.

1. ბავშვთა მიმართ გამოვლენილი ძალადობა, რომლებიც მოქმედებს ბავშვის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე - 200 ლარი.

2. ქალთა და მამაკაცთა მიმართ გამოვლენილი ძალადობა. ოჯახის წევრებს შორის გამოვლენილი ძალადობა - 200 ლარი.

3. უკიდურესად სიღარიბეში ყოფნა. ოჯახის წევრების უუნარობა, საკვების, პირველადი საყოფაცხოვრებო ნივთების უქონლობა. უკიდურესად შეჭირვებულ მდგომარეობაში ყოფნა. ხანდაზმულობა (თანადგომის ქსელის არ ყოლა) - 200 ლარი.

22. ახალდაქორწინებული ოჯახების წახალისება.

პროგრამა ითვალისწინებს სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი პირების მიერ ახლადშექმნილი ოჯახების ხელშეწყობასა და მხარდაჭერას. პროგრამით ისარგებლებს ახალდაქორწინებული წყვილი, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც ქორწინების რეგისტრაციისათვის ირიცხებოდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატებოდა 120000-ს და შეეძინათ პირველი შვილი საკრებულოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ, მიიღებენ ერთჯერადად 500 (ხუთას) ლარს;

23. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა.

კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი/ბავშვებიანი ოჯახების მხარდაჭერა ამოცანები: ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებაში შემოსული განცხადებების განხილვა. ბავშვისა და ოჯახის შეფასება. ბავშვის/ბავშვების საჭიროების დადგენა. გრძელვადიანი ან მოკლევადიანი გეგმის დაწერა, საჭიროების შემთხვევაში შემთხვევის გადამისამარება შესაბამის უწყებაში, დამხმარე სერვისებში პრობლემის აღმოფხვრისა და ოჯახის გაძლიერების მიზნით. ოჯახის წინაშე არსებული სირთულეების დაძლევაზე მუშაობა. სამიზნე ჯგუფი: ბავშვიანი/ბავშვებიანი ოჯახები, რომელთაც დაუდგათ მძიმე კრიზისული მდგომარეობა ან საჭიროებენ მხარდაჭერას დროის უმოკლეს პერიოდში, შექმნილი სირთულეებიდან გამომდინარე. დახმარება გაიცემა მატერიალური, ფულადი ან/და ადამიანური რესურსების გამოყენებით. ჩართვის კრიტერიუმები:

1. სოციალურად დაუცველი ოჯახები

2. მშობლის /მშობლების /მეურვის/მარჩენალის გარდაცვალება.

3. ოჯახის შემოსავლის წყაროს დაკარგვა(მშობელმა/მშობლებმა დაკარგეს სამსახური).

4. ბავშვის /ბავშვების/ მშობლის/მშობლების ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება.

5. ოჯახს მოეხსნა სოციალური დახმარება და ოჯახი აღმოჩნდა ეკონომიკური კრიზისის წინაშე.

6. სტიქია (საცხოვრებლის დაკარგვა და არ აქვს ალტერნატიული ფართი).

7. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანი სოციალურად დაუცველის ოჯახიდან. 8. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე არასრულწლოვანი სოციალურად დაუცველის ოჯახიდან.

9. ძალადობის მსხვერპლი მშობელი

10. მარტოხელა მშობელი.

	24. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის უსინათლო პირთათვის სპეციალური ტექნიკის შეძენა. 25. უდედმამო ბავშვებისთვის, სოციალურად დაუცველი: (შშმ პირებისთვის, ომის ვეტერანებისთვის, მრავალშვილიანებისთვის, მარტოხელა მშობლებისთვის) და სხვა შეჭირვებული ოჯახებისთვის საადღმომოდ და საახალწლოდ ერთჯერადი დახმარება; 26. მიმღე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე მცირეწლოვან ბავშვთა და მოქალაქეთა მკურნალობის დაფინანსება 1. პროგრამა ითვალისწინებს მიმღე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე მცირეწლოვან ბავშვთა და მოქალაქეთა მკურნალობის დაფინანსებას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ფარგლებს გარეთ. კერძოდ: ონკოლოგიური დაავადებები -ლიმფომა, გლიომა, ლეიკემია, ანევრიზმა, თავის ტვინის სიმსივნე, თავის ქალის პროგრესირებადი დეფორმაცია, ქვედა კიდურების ატროფია, თვალის დაავადებები, ავარიის შემდგომი რეაბილიტაცია, ინვიტრო განაყოფიერება და სხვა. ბავშვთა სქორიოზი გარკვეული თანხით დახმარება არა უმეტეს 10 000 ლარისა. 27. მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება ადგილობრივი ბიუჯეტიდან ანაზღაურდება შემდეგი სახის სარიტუალო მომსახურება: ა) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება. ბ) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება; გ) მრავალშვილიანი სოციალურად დაუცველი უკიდურესად შეჭირვებული ოჯახიდან გარდაცვლილის სარიტუალო მომსახურება. თანხა გაიცემა 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.						
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება						
შეფასების ინდიკატორები							
შუალედური შედეგი (OUTPUT)	საბაზისო 2024 წელი	მიზნო-ბრივი 2025 წელი	მიზნო-ბრივი 2026 წელი	მიზნო-ბრივი 2027 წელი	მიზნობრივი 2028 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	5000	5500	6000	6500	7000	5000	5500

დაკრძალვის ხარჯი (06 02 05)	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სამტრედიის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.
პროგრამის აღწერა	ადგილობრივი ბიუჯეტიდან ანაზღაურდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა, სხვა ომის მონაწილეთა დაკრძალვის ხარჯი 250 ლარის ოდენობით.
პროგრამის მიზანი	გარდაცვლილ ვეტერანთა პატივგება

სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარება (06 02 07)	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის სამსახური
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს მოწყვლადი ოჯახებისათვის მცირეფართიანი

	ინდივიდუალური სახლების მშენებლობას მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული პროექტის, დებულების და შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით. ე.წ. „მცირეფართიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროექტის“ ფარგლებში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლით.						
პროგრამის შედეგი	მოწყვლადი ოჯახებისათვის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება						
შეფასების ინდიკატორები							
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	საბა- ზისო 2024 წელი	მიზნო- ბრივი 2025 წელი	მიზნო- ბრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	მიზნობრივი 2028 წელი	ცდომი- ლების ალბათობა	შესაძლო რისკები
მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	4	7	7	7	7	2-3	სატენდერო პირობების გაჭიანურება

6. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობითი სფეროს გამართული ფუნქციონირება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნას და უზრუნველყოფას, საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესებას, მიმდინარე პროცესების მართვას და სხვა ფაქტორებს.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება.

ორგ. კოდი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხაარჯები	6,319.3	0.0	6,319.3	6,561.8	6,560.9	6,625.0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	5,973.2	0.0	5,973.2	6,215.6	6,221.1	6,291.6
01 01 01	სამტრედიის საკრებულო	1,336.6	0.0	1,336.6	1,414.2	1,414.2	1,414.2

01 01 02	სამტრედიის მერია	4,636.6	0.0	4,636.6	4,801.4	4,806.9	4,877.4
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	346,1	0.0	346.1	346.2	339.8	333.4
01 02 01	სარეზერვო ფონდი	200.0	0.0	200.0	200.0	200.0	200.0
01 02 03	მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება	101.1	0.0	101.1	90.9	84.5	78.1
01 02 04	კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	45.0	0.0	45.0	55.3	55.3	55.3

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (01 00)	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს გამართულ ფუნქციონირებას, მუნიციპალიტეტის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას, მუნიციპალური ვალდებულებების მომსახურებას, საბიუჯეტო პროცესის განვითარებას.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მერიისა და საკრებულოს მიერ მოსახლეობისათვის გაწეული სერვისების გაუმჯობესება, მომსახურების მიღების გამარტივება. საბიუჯეტო პროცესის დახვეწა. ვალდებულებების მომსახურება.